# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი №57

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 07/11/2019 წ

სხდომის დაწყების დრო - 16:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო - 19:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ქეთევან ქოქრაშვილი

საბჭოს მდივანი - ნინო ლიპარტია

სხდომის მდივანი - სალომე თოთიბაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; (საბჭოს თავმჯდომარე);
2. ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი; (საბჭოს მდივანი);
3. ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
4. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
6. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. დენიტა ბიბილეიშვილი - საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
8. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;
9. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე;
10. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
11. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
12. ანა ფირცხალაშვილი - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი.

საბჭოს მოწვეული წევრები

1. გიორგი ბაქრაძე - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის ქირურგი-ონკოლოგი, მედიცინის დოქტორი;
2. გიორგი ხუფენია - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის პროფესიული მზადების სამმართველოს უფროს;

საბჭოს თავმჯდომარე

_______________________

ხელმოწერა

3. დავით გაგუა - შპს - "დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის" პროფესორი, შპს "გაგუას კლინიკის" გენერალური დირექტორი, მედიცინის დოქტორი;
4. ირაკლი კოხრეიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი;
5. ნათია ნოღაიდელი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი;
6. გიორგი გოცაძე - შპს "მედი ქლაბ ჯორჯიას" კლინიკური დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს გადაუდებელი მედიცინის ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი;
7. ია ცინცაძე - კლინიკა ჯერარსის ექიმი კარდიოლოგი, რადიოლოგი;
8. დავით კობეშავიძე - შპს - იმედის კლინიკის დირექტორი, მეან-გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი;
9. შოთა ცანავა - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბიოუსაფრთხოებისა და განსაკუთრებით საშიში პათოგენების დეპარტამენტის უფროსი, მედიცინის დოქტორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

| № | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | სოფიკო ქურასბედიანი | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

| № | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | თეა კორძაძე | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I |
| 2 | ნანა შონია | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 3 | თენგიზ კუპრაშვილი | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I |
| 4 | ემზარ ჯულაყიძე | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიზნეს ადმინისტრირების | I |

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | დეპარტამენტის პროფესორი | |
| 5 | გიორგი ღავთაძე | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | რექტორის მოადგილე | I |
| 6 | მერაბ ხალვაში | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | რექტორი | II |
| 7 | ირაკლი კორძაია | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი | II |
| 8 | მარინა ქორიძე | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი | II |
| 9 | სოფიო ზერიძე | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | II |
| 10 | თეა ქოიავა | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი | II |
| 11 | ალიოშა ბაკურიძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი | III, IV, V |
| 12 | თამარ ჩიკვილაძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი | III, IV, V |
| 13 | დალი ბერაშვილი | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი | III, IV, V |
| 14 | ირინე კვაჭაძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | III, IV, V |

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები**

| № | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | რუსუდან სეთურიძე | | I |
| 2 | თეა კასრაძე | | I |
| 3 | მარიკა თოიძე | | II |
| 4 | ელენე ხურციძე | | II |
| 5 | ნანა შაშიაშვილი | | III, IV, V |
| 6 | ლანა ბოკუჩავა | | III, IV, V |

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) $27^2$ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**სხდომის დღის წესრიგის პროექტი**

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ანალიზის„ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
6. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
7. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ „ვეტერინარიის" ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

✓ კი

**შუამდგომლობის ინიციატორი:** ქეთევან ქოქრაშვილი, საბჭოს თავმჯდომარე

**ცვლილების არგუმენტაცია:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განსახილველად საჭირო კვორუმის არარსებობის თავიდან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

**დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაცევტული ანალიზის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიების„ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
6. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
7. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ „ვეტერინარიის" ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**1. პირველი საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 2 | სტატუსი[2] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2019 წლის 09 იანვარი, №02 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[5] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | „-----„ |

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[7] | 0413 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 13 | განხორციელების ადგილი[8] | საქართველო 4600, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N59, სასწავლო კორპუსი N1, N2 |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | „-----„ |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9] | „-----„ |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | „-----„ |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- ✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- ✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა**

ექსპერტმა მოხსენება დაიწყო განხორციელებული ვიზიტის შედეგების შეჯამებით. მისი თქმით, ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა 120 კრედიტს მოიცავს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა

---

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

განმეორებით აკრედიტაციაზე 2018 წელს იყო წარდგენილი, თუმცა მას ერთ წლიანი პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობას, მან აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მეორე სტანდარტი შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაში, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ექსპერტმა რეკომენდაციების შესახებ აღნიშნა, რომ:

1. პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში, პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებს გადამუშავებას. მისი თქმით, დოკუმენტაციის მიხედვით ყველა სასწავლო კურსი ამ შედეგზე გადიოდა, შესაბამისად გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია;

2. პროგრამაში კრედიტების გადანაცვლების საკითხი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან".

3. სწავლის შედეგების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია სამეცნიერო სასწავლო კურსი ძირითადი სასწავლო კურსების ჩამონათვალში იქნეს გადატანილი. ასევე, ექსპერტის თქმით, გასასწორებელია დუბლირებული სასწავლო კურსი „ბრენდინგი", რომელიც პროგრამაში მოცემულია როგორც 2.7, ასევე 2.14 ნომრად;

4. მან დამატებით აღნიშნა, რომ აუცილებელია გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა, რათა კურსის საფეხურსა და მიზანთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი.

5. რეკომენდებულია, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულ ლიტერატურას. ექსპერტის განმარტებით, სამაგისტრო ნაშრომები გადაიხედა, შედეგად კი აღმოჩნდა, რომ რამოდენიმე ნაშრომში ძალიან მწირი ლიტერატურა იყო გამოყენებული. მან დამატებით აღნიშნა, რომ ბოლო წლების ნაშრომები უკეთ გამოიყურებოდა. მართალია, შინაარსობრივად სხვადასხვა ტიპისა და ხარისხის იყო, თუმცა ნაშრომები ჩარჩოში იყო მოქცეული;

6. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანების შესაბამისად სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდებისა და აქტივობების ფორმულირება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გათვალისწინებულია რიგი რჩევები.

## საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა რეკომენდაციების გაცემის შემდეგ გადამუშავდა, თუმცა, ამ დროისთვის ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან დაკავშირებით ყველა მომუშავე პერსონალი არ არის გადამზადებული.

მან პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას მხოლოდ ერთი შედეგი დარჩა შესასრულებელი. მისი თქმით, გასწორდა მეორე რეკომენდაციით გათვალისწინებული ტერმინოლოგია. რაც შეეხება სამეცნიერო წერასთან დაკავშირებით გაცემულ მესამე რეკომენდაციას, დაწესებულება ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ორივე სასწავლო კურსის ლიტერატურა გადამუშავდა და შესაბამისი ცვლილებები შევიდა. გადამუშავების შედეგად „ოპერაციათა მენეჯმენტი" რიჩარდ ჩეიზის სახელმძღვანელოთი ისწავლება. ასევე, მათ გამოიყენეს გრიგალაშვილის ქართულენოვანი სახელმძღვანელო. მისი თქმით, სილაბუსის ავტორმა შეიმუშავა ცვლილებები, რომლებიც უკვე განხორციელებულია. ატვირთულია ბიბლიოთეკაშიც და

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ელექტრონულად უკვე ხელმისაწვდომია. დაწესებულება მეხუთე რეკომენდაცია ეთანხმება, ვინადან ცდილობენ, რომ მაგისტრანტებმა რაც შეიძლება მეტი ლიტერატურა დაამუშაონ.

საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ბოლო დროს შექმნილ სამაგისტრო ნაშრომებში უკეთესი მდგომარეობაა და ეცდებიან უფრო და უფრო გაიზარდოს ხარისხი. მისი თქმით, ამ ეტაპზე გაცილებით უკეთესი ვითარებაა, რადგან უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული რეკომენდაციებიც და ეროვნულ გამოცდებზეც ზღვარი აიწია. ის ბაზები კი, რომლებსაც მაგისტრანტები იყენებდნენ, იზრდება და უმჯობესდება.

დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, სწავლა-სწავლების მეთოდები ჩამოყალიბებული და შეცვლილია. მათთვის აბსოლუტურად ყველა რჩევა მისაღებია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ელექტრონული დეკანატი გააქტიურებულია და ფუნქციონირებს ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშრებით.

მისი თქმით, სტუდენტების წახალისებასთან დაკავშირებით იგეგმება სასწავლო კურსისთვის მაგისტრანტების შერჩევა. შეირჩევა ორი მაგისტრანტი, რომელთა სურვილის შემთხვევაშიც, მათ შესაძლებლობა ექნებათ სერტიფიცირება გაიარონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, რის შესაძლებლობასაც უნივერსიტეტის შემოსავალი იძლევა.

დაწესებულების რექტორის თქმით, ძირითადად სტრატეგია არის ის, რომ სხვადასხვა ენების ინსტიტუტებთან დაწყებულია თანამშრომლობა და მათი მხრიდან უნივერსიტეტს რესურსებიც მიეწოდება.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აკადემიური სტილის შესახებ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ ექსპერტებს გაცემული აქვთ რჩევა. იგი დაინტერესდა ანტიპლაგიატის სისტემის მუშაობით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტში ეს სტილი არსებობს. მისი თქმით, შარშან ანტიპლაგიატის პროგრამაში ნაშრომები სამჯერ გატარდა. მიმდინარე სასწავლო წლიდან კი ნაშრომები ერთჯერადად შემოწმდება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით აქვთ დეტალური მოთხოვნები. ერთ-ერთი სტილის არჩევის შემთხვევაში მათ უფრო გაუადვილდებოდათ გამოქვეყნება, შეეჩვეოდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას √

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 12**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება**

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარე

_______________________
ხელმოწერა

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10] | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 2 | სტატუსი[11] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2019 წლის 09 იანვარი, №02 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12] | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[13] | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[14] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15] | „-----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[16] | 0413 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 13 | განხორციელების ადგილი[17] | საქართველო 4600, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N59, სასწავლო კორპუსი N1, N2 |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | „-----„ |

---

[10] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[11] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[12] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[13] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[14] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[15] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[16] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[17] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

_______________________

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18] | „-----„ |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | „-----„ |

**2. მეორე საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19] | დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი |
| 2 | სტატუსი[20] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 07 ნოემბერი, №204 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21] | დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[22] | ერთსაფეხურიანი |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[23] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24] | „------„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0912 მედიცინა |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[25] | 0912 |
| 11 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 360 |

[18] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 13 | განხორციელების ადგილი[26] | საქართველო 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, უნივერსიტეტის II კორპუსი |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | „----„ |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27] | „----„ |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | „---„ |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, მარიკა ქორიძემ მოხსენება განხორციელებული ვიზიტის განხილვით დაიწყო. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი 2019 წლის 23-24 ოქტომბერს განხორციელდა. მისი თქმით, უნივერსიტეტს ამჟამად 625 სტუდენტი ჰყავს. ექსპერტებმა ნახეს უნივერსიტეტის ბაზები.
როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ექსპერტებს რეკომენდაციები არ გააჩნიათ, რადგან პროგრამა კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებს. მათ მხოლოდ კვლევითი აქტივობების შესახებ აქვთ რამდენიმე რჩევა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტები გასაუბრების გარეშე, საშუალო განათლების სერტიფიკატის საფუძველზე ირიცხებიან, რასთან დაკავშირებითაც უცხოელი ექსპერტის რჩევა იყო, რომ მათთვის ჩაეტარებინათ ბაზისურ მეცნიერებებში ტესტი. ასევე, ექსპერტმა სიმულაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ძალიან კარგი ტრენინგ ცენტრი, კლინიკური ბაზები გააჩნია, რომლებიც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამის არსებობა აჭარის რეგიონზე დადებით გავლენას ახდენს.

[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია და დისკუსია**

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი კორძაიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. მისი თქმით, რეგიონისთვის პროგრამის არსებობა ნამდვილად მნიშვნელოვანია. ასევე, მან აღნიშნა, რომ ექსპერტების ყველა რჩევა და საბჭოს ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება. გასაუბრების დროს ყურადღება მიექცევა დარგობრივი კომპეტენციების შემოწმებას.
საბჭოს მოწვეულმა წევრმა, დავით გაგუამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა თუ რომელი ბაზები გააჩნია უნივერსიტეტს. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი რეგიონში არსებული კლინიკების ექსკლუზიური პარტნიორია, რადგან მათი უნივერსიტეტი რეგიონში ერთადერთია, შესაბამისად მათ სტუდენტებს ყველა ბაზაზე აქვთ წვდომა.
საბჭოს მოწვეულმა წევრმა, დავით გაგუას თქმით, რეგიონალიზაციის შედეგად, მესამე დონის 5 საავადმყოფო დარჩა, რომელთაგან ბათუმში 2 საავადმყოფოა.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი სწორედ ამ ბაზებთან თანამშრომლობენ. მისი თქმით, ბათუმში ახალი რესპუბლიკური საავადმყოფოს ფილიალი აშენდა, რომელიც საუნივერსიტეტო ბაზად ჩამოყალიბდება და აღნიშნულ პროგრამას მოემსახურება.
საბჭოს მოწვეული წევრის, ნათია ნოღაიდელის თქმით, ბათუმში მხოლოდ ერთი ფსიქიატრიული სერვისის მომწოდებელი დაწესებულებაა, რომელიც უნივერსიტეტის ბაზებში არ არის მოცემული.
აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული ფსიქიატრიული კლინიკის სამართალმემკვიდრე „ბიემსი" ჯგუფია, სადაც ფსიქიატრიული პრაქტიკა ხორციელდება.
საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე დაინტერესდა თუ როგორ აპირებს უნივერსიტეტი ახალი პროგრამის განხორციელებას, როგორია მათი სტრატეგია.
დაწესებულების წარმოდგენელმა უპასუხა, რომ თუ აკრედიტაციის მოთხოვნა იქნება ახალი პროგრამის ძველზე მოდიფიცირება, განაცხადის შემოტანის დროს მათ აღნიშნული გაითვალისწინეს. შინაარსობრივად სილაბუსებში მიზნებსა და შედეგებში თანხვედრა არის. თუ გადაწყვეტილება იქნება, რომ იგივე დარჩეს, ძველი პროგრამა მილევად რეჟიმში გადავა.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ რამოდენიმე რჩევა მისცა საგანმანათლებლო დაწესებულებას და აღნიშნა, რომ პროგრამაში, სადაც მოცემულია ოსკი-სა და ოსპი-ს დეფინიციები, წერია, რომ თეორიული და პრაქტიკული უნარები მოწმდება და მხოლოდ სტანდარტიზებული პაციენტია მინიშნებული. მისი თქმით, აღნიშნული შესაძლოა ტექნიკური პრობლემა იყოს. ოსკი არ არის თეორიული ცოდნის შემოწმება. ეს მთლიანად პრაქტიკულ უნარებს ამოწმებს. აქ უნდა დაემატოს, რომ სიმულატორები გამოიყენება. მან დამატებით აღნიშნა, რომ ასევე ერთ-ერთ მეთოდად აღნიშნულია „პირდაპირი დაკვირვება" - EPA-ის კომპონენტი, რომელიც ყველაზე მაღალი დონის სწავლების ერთ-ერთი კომპონენტია. DOPS მხოლოდ მაღალკურსელებისთვისაა გათვლილი, რომელზეც ვიდეო ჩანაწერი კეთდება და ეს ფორმაციული შეფასების ერთ-ერთი ეტაპია. მან სევე აღნიშნა, რომ თუ იგულისხმება EPA, მაშინ სხვა კომპონენტებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. თუ ასე არ არის, მაშინ, მისი თქმით, ჯობია შეიცვალოს და დაიწეროს სხვა ტიპის შემოწმება. ასევე, სწავლების მეთოდად პირველივე სემესტრში შეტანილია ფრაზა „ავადმყოფის საწოლთან" სტუდენტს შეუძლია ცუდი ინფორმაციის მიწოდება და მის ანკეტაში ჩანაწერის გაკეთება. როგორც საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, ეს სრულიად წარმოუდგენელია, როცა სტუდენტს 2 თვეა რაც სწავლა აქვს დაწყებული. მისი თქმით, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი აღნიშნულს გაითვალისწინებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამედიცინო პროგრამებთან დაკავშირებით ტრენინგის ინფორმაცია სრულად ვერ იქნა პროგრამაში იმპლემენტირებული. თუმცა, მისი თქმით, სტუდენტები

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

შესაძლოა პირველივე კურსიდან იყვნენ იმპლემენტირებული და პირველივე კურსზე შეიძლება, რომ მიმდინარეობდეს კომუნიკაციის სწავლება საწოლთან.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ უპასუხა, რომ პირს, რომელიც ორი თვეა რაც სტუდენტია, არ შეუძლია პაციენტის ისტორიაში ჩანაწერის გაკეთება. გარდა ამისა, მისი თქმით, არ ჩანს ის, თუ სად ისწავლება გერიატრია. აღნიშნულის სწავლება ოჯახურ მედიცინაში არ შეიძლება, მაშინ, როდესაც არსებობს ცალკე დარგი. მან აღნიშნა, რომ უცხოელი ტრენერის განმარტებით, არ შეიძლება ზოგადი მედიკოსის კვალიფიკაციის გაცემა, თუ გერიატრია, როგორც დისციპლინა არ ისწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პირველად ჯანდაცვასთან ინტეგრირება იფიქრეს, თუმცა მისი არც შედეგები და არც მიზნები არ არის დაკარგული. გერონტოლოგია შენარჩუნებულია და არა მის ფარგლებში, არამედ მასთან ერთად ისწავლება. დაწესებულებამ ინტერგირების პრინციპიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ ასე უკეთესი იქნებოდა.

ექპერტმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშრებით დაისვა კითხვები. მან თეორიულ ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ლიტერატურა ცალკეა და მოწოდებულ ჩამონათლაშიც არის. უნივერსიტეტის ბაზებში კი გადიან ჰოსპიტალურ ნაწილს, სადაც პაციენტების დიდი ნაწილი გერიატრიული ასაკისაა. დარგი ვითარდება, შესაბამისად ჩათვალეს, რომ არ იქნებოდა პრობლემა ინტეგრირებული დარჩენილიყო.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამა ინგლისურენოვანია, შესაბამისად მიმწოდებელიც უცხო ენას უნდა ფლობდეს. იგი დაინტერესდა, ექსპერტებს იგივე საავადმყოფოებში პერსონალთან ჰქონდათ თუ არა გასაუბრება და ეს ადამიანები რა ენობრივ ცოდნას სთავაზობენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა უპასუხა, რომ ერთ-ერთი ექსპერტი ინგლისურენოვანი იყო და შესაბამისად, ყველა ინტერვიუ ინგლისურ ენაზე ჩატარდა. მან დაამატა, რომ ექსპერტებმა ნახეს მაღალი დონის კლინიკები და პერსონალი. იმ ადამიანებს შორის კი, რომლებიც სტუდენტებს მენტორობას უწევენ, ბევრი საერთაშორისო ცნობილი ექიმია. მისი თქმით, შეიძლება ითქვას, რომ ის პერსონალი, რომელიც ამ სტუდენტებს ასწავლის, ინგლისურ ენას ნამდვილად ფლობს.

საბჭოს მოწვეული წევრი, შოთა ცანავა დაინტერესდა პროგრამის დოქტორების და ლაბორანტების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თავიდან ძირითადად დედაქალაქიდან მოწვეული სპეციალისტები იყვნენ. ამის შემდეგ, ეცადნენ ადგილობრივი რესურსი გამოეყენებინათ. როგორც მან აღნიშნა, სულ 99 პედაგოგი ასწავლის, რომელთაგანაც 27 აკადემიური პერსონალი, 10 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორია. მან დაამატა, რომ თანდართულ დოკუმენტაციაში რეზიუმეები და სამუშაო ადგილიდან ცნობებია წარმოდგენილი. დაწესებულებას პრევენციული მედიცინა, სამწუხაროდ, არ გააჩნია. თუმცა, ისინი დაავადებათა კონტროლის ადგილობრივ ცენტრთან აქტიურად თანამშრომლობენ.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ ყურადღება გაამახვილა „დაზღვევა და პაციენტის უფლებების" პროგრამის შინაარსზე. მან აღნიშნა, რომ სამედიცინო სამართალი პაციენტის უფლებებსა და ინფორმირებულ თანხმობაზეა აგებული, რომელსაც მხოლოდ 3 ლექცია ეთმობა. დანარჩენი კი კონტინენტურ სამართალს და ა.შ ეთმობა. მისი აზრით, უკეთესი იქნება თუ მოხდებოდა ამის მოდიფიცირება. ასევე, დაზღვევის სამართალი, Health insurance - მხოლოდ სიცოცხლის დაზღვევაა თუ მთლიანად დაზღვევა. უმჯობესი იქნება ეხებოდეს სიცოცხლის დაზღვევას და ქონების დაზღვევა, ასევე სხვა არამიზანმიმართული თემები არ იყოს მოცემული. მან დამატებით აღნიშნა, რომ სამედიცინო სამართალში ქართული, მოძველებული სახელმძღვანელოა მოცემული, რომელიც უმჯობესია შეიცვალოს. ასევე, ლიტერატურა შესაცვლელია დაზღვევაშიც.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებენ შენიშვნებს.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ პროგრამის დოკუმენტაციაში გამორჩენილია რეკვიზიტები, კერძოდ, ხელმოწერა, დადგენილების ნომერი და ა.შ. ასევე, იგი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაინტერესდა კლინიკურ გენეტიკას თუ რა განათლების პროფესორები ასწავლიან, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კლინიკურ გენეტიკას ბიოლოგი ასწავლის.

საბჭოს წევრის, ხათუნა თოდაძის თქმით, კლინიკური გენეტიკის სწავლება საერთოდ არ არის საჭირო. ეს იმით ახსნა, რომ ძალიან მაღალი დონის სპეციალობაა და პროგრამას შედეგზე გასასვლელად არ არის საჭიროა. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ გენეტიკა და არა კლინიკური გენეტიკა რომ იყოს, ბევრად მარტივი იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბათუმის უნივერსიტეტს, გენეტიკის მიმართულებით, საკმაოდ მაღალი ხარისხის სკოლა აქვს, შესაბამისად მათ იფიქრეს გამოეყენებინათ ეს რესურსი.

**სათათბირო შესვენება**

დაწყების დრო - 17:59 სთ

დამთავრების დრო - 18:04 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას √

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საბჭოს თავმჯდომარე

_______________________
*ხელმოწერა*

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საბჭომ ზეპირი მოსმენის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება მეორე სტანდარტი შეფასებული ყოფილიყო როგორც „მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", შესაბამისად, 2.5 და 2.6 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს დამატებით განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
ა) **2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები:**
ა.ა) შეტანილი იქნეს შესწორება სილაბუსში - "კომუნიკაციის უნარები მედიცინაში" - I სემესტრი. სწავლების მეთოდებში შესწორდეს - სწავლება ავადმყოფის საწოლთან (ამ ეტაპზე პირველკურსელები სწავლობენ პაციენტთან ზოგად კომუნიკაციას (მაგ., თავის წარდგენას, ზოგადი ჩივილების შესახებ ანამნეზის შეკრებას). ფიზიკური გამოკვლევა, ასევე პაციენტისთვის ცუდი ინფორმაციის მიწოდება, განსაკუთრებით კი - სამედიცინო ჩანაწერების გაკეთება პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში სწავლების საწყის ეტაპზე (პირველი კურსის პირველ სემესტრში) არ ხდება. იგივე ეხება შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლას (CBL)-ს, რადგანაც ამ ეტაპზე სტუდენტებს არ აქვთ შესაბამისი ცოდნა (რომ განიხილონ კლინიკური შემთხვევა).
ა.ბ) მეტი ყურადღება დაეთმოს გერიატრიის, როგორც დისციპლინის სწავლებას. პროგრამაში გერონტოლოგია (და არა გერიატრია) ინტეგრირებულია მოდულში "ჯანმრთელობა და დღეგრძელობა" საოჯახო მედიცინის სხვა საკითხებთან ერთად, არ არის გაშლილი გერიატრიული სინდრომები, ხანდაზმული პაციენტების კლინიკური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის, გერიატრიული ფარმაკოლოგიის საკითხები.
ბ) **2.6 სტუდენტების შეფასება** - პროგრამაში არასწორად არის მოცემული შეფასების მეთოდის - OSCE -ს დეფინიციები, სახელდობრ: *"ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური შეფასება(OSCE) წარმოადგენს სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული უნარების შეფასების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდს. გამოცდის მსვლელობისას გამოიყენება სტანდარტიზებული პაციენტი, რომლის ნებართვით მას იკვლევს სტუდენტი კლინიკური ცოდნისა და უნარების გამოყენებით".*
OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა ტარდება სტუდენტის პრაქტიკული - კლინიკური უნარ-ჩვევების (და არა თეორიული ცოდნის) შესაფასებლად. ამ გამოცდის დროს გამოიყენება არა მხოლოდ სტანდარტიზებული პაციენტი, არამედ სხვადასხვა სახის სიმულატორები და სიმულაციური პაციენტებიც (პირები - მაგ., მსახიობები, რეზიდენტები, რომლებიც ასრულებენ პაციენტების დროს).

საბჭოს თავმჯდომარე ______________________
*ხელმოწერა*

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 1
გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28] | დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი |
| 2 | სტატუსი[29] | აკრედიტებული |
